# სპორტ ინფო

ყოველდღიური სპორტული გაზეთი

№ 28(6618) | 9 თებერვალი 2022 წ. ოთხშაბათი | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინტერმა რომა დაამარცხა და იტალიის თასის ნახევარფინალში მილანი-ლაციოს წყვილში გამარჯვებულს ელის




## მანჩესტერმა პრემიერლიგის აუტსაიდერთან ქულები დაკარგა




## მორის ყვითელაშვილმა პეკინის ოლიმპიადაზე თავისი საუკეთესო შედეგი აჩვენა და ლიდერთა შორის დაწინაურდა



8 გვ.

## ნეიმარი სავარაუდოდ რეალთან პირველ მატჩს გამოტოვებს



2 გვ.

## შოთას ჰალი რუნის დერბისთან დამარცხდა




3 გვ.

## რუბინის სპორტული დირექტორი: ხვიჩას ფასი არ შეცვლილა – ჩვენ 20 მილიონ ევროს ვითხოვთ



5 გვ.

## ბრაზილიური პალმეირასი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალშია

მეორე ფინალისტი დღეს ჩელსი-ალ ჰილალის მატჩში გაირკვევა



# ნეიმარი სავარაუდოდ რეალთან პირველ მატჩს გამოტოვებს



ფრანგული „ეკიპის“ ინფორმაციით, პსჟ-ს ფორვარდი ნეიმარი, რომელიც ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას განაგრძობს, დიდი ალბათობით, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მადრიდის „რეალთან“ პირველ მატჩს გამოტოვებს. მოედანზე ბრაზილიელის გასვლის შანსები ძალზე მცირეა. ამჟამად, ნეიმარი ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს.

მიმდინარე სეზონში ბრაზილიელმა საფრანგეთის ლიგა 1-ში ჩატარებულ 10 მატჩში 3 გოლი გაიტანა და 3 საგოლე პასი შეასრულა.

პსჟ „რეალს“ 16 თებერვალს უმასპინძლებს. საპასუხო მატჩი მადრიდში 10 მარტს გაიმართება.

# კიელინი 3-4 კვირა დაისვენებს

ტურინის „იუვენტუსის“ მცველი ჯორჯო კიელინი ტრავმის



გამო, 3-4 კვირა ვერ ითამაშებს. 37 წლის ფეხბურთელს სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა, რომელმაც მარცხენა კოჭის დაზიანება დაადგინა.

ამრიგად, კიელინი იტალიის ჩემპიონატში „ატალანტასა“ და „ტორინოსთან“ მატჩებს, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში კი, ესპანურ „ვილიარეალთან“ პირველ შეხვედრას გამოტოვებს.

# შერმადინის 4 ქულა და 7 მოხსნა რიტასთან მოგებულ მატჩში

გიორგი შერმადინის „ტენერიფემ“ ჩემპიონთა ლიგაზე საკუთარ მოედანზე ვილნიუსის „რიტასი“ 89:75 დაამარცხა.

ქართველი ცენტრი მისთვის ჩვეული შედეგიანობით ვერ გამოირჩა. პარკეტზე გატარებულ 20 წუთში შერმადინმა 4 ქულა, 7 მოხსნა 1 პასი და 1 ჩაჭრა დააგროვა. სარგებლიანობის კოეფიციენტი მას 6 ჰქონდა.

ამ მოგების შემდეგ, „ტენერრიფე“ ჩემპიონთა ლიგის L ჯგუფში 6 ქულით პირველ ადგილზეა.

# რალფ რანგნიკი: მანჩესტერი დომინირებდა და თამაშს აკონტროლებდა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა პრემიერლიგის აუტსაიდერ „ბარნლისთან“ 1:1-ის შემდეგ, კომენტარი გააკეთა:

— პირველ ტაიმში 3 გოლი გავიტანეთ, მაგრამ ვარანზე თამაშგარე დაფიქსირდა, „ბარნლის“ ავტოგოლი კი, პოგბაზე ფოლის გამო გაგვიუქმეს. მეორე გაუქმებული გოლის შემთხვევაში, გვერდითმა მსაჯმა დარღვევა ინციდენტიდან 10 წამის შემდეგ დააფიქსირა. უნდა აღვნიშნო, რომ ეს ძალზე სუსტი გადაწყვეტილება იყო...

— მეორე ტაიმში საუცხოოდ ვთამაშობდით. თამაშს ვაკონტროლებდით, მაგრამ აგრესია გვაკლდა. სამწუხაროდ, დაცვაში რაღაც დავაკელით და მეტოქემ ანგარიში გაათანაბრა...

— იმედგაცრუებულები ვართ. მშვიდად უნდა მოგვეგო, — განაცხადა რანგნიკმა.



## მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი

*1/2 ფინალი*

### პალმეირასი(ბრ) 2:0 ალ აჰლი(ეგ)

**გოლი:** ვეიგა 39, დუდუ 49
***პალმეირასი:*** ვევერტონი, როჩა, ლუანი, გომესი, პიკუერესი, დანილო, ვეიგა (78. ჟაილსონი), გუსტავო სკარპა (88. ბრენო ლოპესი), ზე რაფაელი (86. ატუესტა), დუდუ (78. ვესლი), რონი (88. დაივერსონი)

## იტალია

*თასის 1/4 ფინალი*

### ინტერი 2:0 რომა

**გოლი:** ჯეკო 2, ალექსის სანჩესი 68
***ინტერი:*** ჰანდანოვიჩი, დამბროზიო, შკრინიარი, ბასტონი (45. დე ვრეი), პერიშიჩი (85. დუმფრისი), ვიდალი (85. ვეჩინო), ბროზოვიჩი, ბარელა (85. ჩალანოღლუ), დარმიანი, ალექსის სანჩესი, ჯეკო (76. მარტინესი)
***რომა:*** პატრისიუ, იბანესი (46. კუმბულა), სმოლინგი, მანჩინი, კარსდორპი, ოლივეირა (70. პელეგრინი), ვერეტო (70. კრისტანტე), ვინა (77. ელ შაარავი), მხითარიანი, ძანიოლო, აბრაჰამი (89. აფენა გიანი)
**გაფრთხილება:** ძანიოლო 37, მანჩინი 38

**კუთხური:7/5 ; ჯარიმა:8/16**

## ინგლისი

*პრემიერლიგა*

### ნიუკასლი 3:1 ევერტონი

**გოლი:** ლასკელესი 36 ს.კ. (0:1), ჰოლგეიტი 37 ს.კ. (1:1), ფრეიზერი 56 (2:1), ტრიპიერი 80 (3:1)
***ნიუკასლი:*** დუბრავკა, ტრიპიერი (90. მანკილო), ლასკელესი, შარი, ტარგეტი, ჯოელინტონი, შელვი, უილოკი (90. გიმარაეში), ფრეიზერი (83. მერფი), ვუდი, საინტ მაქსიმინი
***ევერტონი:*** პიკფორდი, ჰოლგეიტი, კინი, მინა (35. ბრენტუაიტი), კოულმენი, ალანი, გომესი (60. ვან დე ბეეკი), თაუნსენდი, გრეი (25. დელე ალი), გორდონი, რიშარლისონი
**გაფრთხილება:** ჰოლგეიტი 14, შელვი 33, გომესი 47, შარი 50, ალანი 79

**კუთხური:6/2 ; ჯარიმა:13/13**

### ვესტ ჰემი 1:0 უოტფორდი

**გოლი:** ბოუენი 68
***ვესტ ჰემი:*** ფაბიანსკი, კუფალი, დოუსონი, ზუმა, კრესუელი, რაისი, სუჩეკი, ბოუენი, ფორნალსი, ბენრაჰმა (60. ლანძინი), ანტონიო
***უოტფორდი:*** ფოსტერი, კიკო (79. ნგაკია), კაჩკარტი, სამირი, კამარა, კლევერლი (79. პედრო), კაიემბე (79. ლუზა), სისოკო, კუჩკა, კინგი, დენისი
**გაფრთხილება:** კუფალი 83

**კუთხური:5/6 ; ჯარიმა:1/6**

### ბარნლი 1:1 მანჩესტერი

*მე-12 წუთზე VAR-მა ვარანს გოლი არ ჩაუთვალა (თამაშგარე)*

**გოლი:** პოგბა 19 (0:1), როდრიგესი 48 (1:1)
***ბარნლი:*** პოუპი, რობერტსი, ტარკოვსკი, მეე, პიტერსი, კორნეტი (69. ლენონი), ბრაუნჰილი, ვესტვუდი, მაკნილი, როდრიგესი (88. ბარნსი), ვეგჰორსტი
***მანჩესტერი:*** დე ხეა, დალოტი, ვარანი, მაგუაირი, შოუ, მაკტომინეი (80. ლინგარდი), პოგბა, რაშფორდი (85. ელანგა), ფერნანდეში, სანჩო, კავანი (68. რონალდუ)
**გაფრთხილება:** მაგუაირი 63, პიტერსი 74, ბრაუნჰილი 77

**კუთხური:2/10 ; ჯარიმა:11/10**

**9 თებერვალი**
**სიტი-ბრენტფორდი(23:45)**
**ნორვიჩი-კრ.პალასი(23:45)**
**ტოტენჰემი-საუთჰემპტონი(23:45)**
**ასტონ ვილა-ლიდსი(23:55)**
**10 თებერვალი**
**ლივერპული-ლესტერი(23:45)**
**ვულვზი-არსენალი(23:45)**

***სატურნირო მდგომარეობა:***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტი | 23 | 18 | 3 | 2 | 55:14 | 57 |
| ლივერპული | 22 | 14 | 6 | 2 | 58:19 | 48 |
| ჩელსი | 24 | 13 | 8 | 3 | 48:18 | 47 |
| ვესტ ჰემი | 24 | 12 | 4 | 8 | 42:31 | 40 |
| მანჩესტერი | 23 | 11 | 6 | 6 | 37:31 | 39 |
| არსენალი | 21 | 11 | 4 | 7 | 33:25 | 36 |
| ტოტენჰემი | 20 | 11 | 3 | 6 | 26:24 | 36 |
| ვულვზი | 21 | 10 | 4 | 7 | 19:16 | 34 |
| ბრაიტონი | 22 | 6 | 12 | 4 | 23:23 | 30 |
| ლესტერი | 20 | 7 | 5 | 8 | 34:37 | 26 |
| ასტონ ვილა | 21 | 8 | 2 | 11 | 28:32 | 26 |
| საუთჰემპტონი | 22 | 5 | 10 | 7 | 26:34 | 25 |
| კრ. პალასი | 22 | 5 | 9 | 8 | 31:34 | 24 |
| ბრენტფორდი | 23 | 6 | 5 | 12 | 26:38 | 23 |
| ლიდსი | 21 | 5 | 7 | 9 | 24:40 | 22 |
| ევერტონი | 21 | 5 | 4 | 12 | 25:38 | 19 |
| ნიუკასლი | 22 | 3 | 9 | 10 | 24:44 | 18 |
| ნორვიჩი | 22 | 4 | 4 | 14 | 13:45 | 16 |
| უოტფორდი | 22 | 4 | 3 | 15 | 23:41 | 15 |
| ბარნლი | 20 | 1 | 11 | 8 | 17:28 | 14 |

***ბომბარდირები:*** სალაჰი (ლივერპული)-16; ჟოტა (ლივერპული)-10; ვარდი (ლესტერი)-9; რონალდუ (მანჩესტერი)-8; რაფინია (ლიდსი)-8; სონი (ტოტენჰემი)-8; სმით როუ (არსენალი)-8; დენისი (უოტფორდი)-8; ანტონიო (ვესტ ჰემი)-8; მანე (ლივერპული)-8.

*ჩემპიონშიპი*

| | |
|---|---|
| ქოვენთრი-ბლექპული | 1:1(1:1) |
| დერბი-ჰალი | 3:1(2:0) |
| ფულჰემი-მილუოლი | 3:0(1:0) |
| ლუთონი-ბარნსლი | 2:1(1:1) |
| სტოკი-სუონსი | 3:0(0:0) |

*I ლიგა*

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-ოქსფორდი | 2:0(1:0) |
| უიმბლდონი-როტერჰემი | 0:1(0:0) |
| ჩესტერფილდი-სანდერლენდი | 2:1(0:1) |
| ქრიუ-პლიმუთი | 1:4(1:0) |
| დონკასტერი-იფსვიჩი | 0:1(0:1) |
| ფლიტვუდი-დონსი | 1:1(0:1) |
| ჯილინგემი-კემბრიჯი | 1:0(0:0) |
| ლინკოლნი-მორიკომბი | 2:1(2:0) |

პორტსმუთი-ბარტონი 2:1(2:0)
შეფილდ უედ.-უიგანი 1:0(0:0)
უიკომბი-შრიუსბერი 0:0
ბოლტონი-ჩარლტონი 2:1(1:0)

*II ლიგა*

კარლაისლი-პორტ ვეილი 1:3(1:2)
ექსეტერი-ლეიტონი 1:0(0:0)
ფორესტ გრინი-როჩდეილი 2:1(0:0)
ჰაროგეიტი-ქროული 1:3(0:0)
ჰარტლპული-ბაროუ 3:1(3:1)
მენსფილდი-კოლჩესტერი 2:1(1:0)
ნორთჰემპტონი-ნიუპორტი 1:0(0:0)
ოლდჰემი-ბრ.როვერსი 2:1(2:1)
სკანთორპი-უოლსოლი 1:0(1:0)
სტევენეიჯი-ბრედფორდი 0:1(0:0)
სატონი-სალფორდი 0:0
ტრანმერი-სუინდონი 3:0(1:0)

*ნაცლიგა*

გრიმსბი-კინგ ლინი 0:0
ნოთსი-ბარნეტი 6:1(3:0)
საუთჰენდი-ბრომლი 2:0(0:0)
სტოკპორტი-ჩესტერფილდი 2:2(0:2)
ვალდსტონი-იოვილი 2:1(2:0)

## უეფას იუნიორთა ლიგა

*U-19 1/16 ფინალი*

ალკმაარი-ვილიარეალი 3:3(4:3პენ.)
რეინჯერსი-სევილია 0:1(0:0)
ჟილინა-ინტერი 3:1(1:0)
ემპოლი-დორტმუნდი 3:5 (2:2)

## გერმანია

*II ბუნდესლიგა*

კარლსრუე-სანდჰაუზენი 0:2(0:1)

*III ლიგა*

ჰალეშერი-ტურკგუჩუ 1:0(0:0)
ზვისკაუ-ვიქტორია კ. 1:0(0:0)

## საფრანგეთი

*თასის 1/4 ფინალი*

მონაკო-ამიენი 2:0(1:0)

## ნიდერლანდები

*თასის 1/4 ფინალი*

პსვ-ბრედა 4:0(3:0)

## პორტუგალია

*II ლიგა*

ვარზიმი-ნასიონალი 0:0
ფეირენსე-ფარენსე 4:1(1:1)
ესტრელა-აკადემიკა 1:3(1:2)

## რუმინეთი

*I ლიგა*

სეპსი-გაზ მეთანი 2:0(0:0)
CFR კლუჟი-უტა არადი 0:0
ვოლუნტარი-რაპიდი 0:0

## უნგრეთი

*თასი*

უიპეშტი-კისვარდა 2:1(0:0)
სზეგედი-მოლ ფეერვარი 0:3(0:2)

## ფინეთი

*ლიგის თასი*

ჰონკა-ჰაკა 1:1(0:0)

## ჩრდ.ირლანდია

*პრემიერშიპი*

კარ.რეინჯერსი-კლიფტონვილი 2:3(0:1)
კოლერაინი-დუნგანონი 2:0(2:0)
ლინფილდი-ლარნე 2:1(1:0)
პორტდაუნი-გლენთორანი 1:1(0:0)

## შვეიცარია

*თასი*

ივერდონი-ლოზანა 1:0(1:0)

## თურქეთი

*თასი*

ქასიმფაშა-გაზიანთეფი 1:2(1:1)
ქარაგუმრუკი-ქონია 4:4(1:0დ.დ.)
ფენერბაჰჩე-ქაისერისფორი 0:1(0:0)

## ისლანდია

***Reykjavik Cup***

ფილკირი-ტროტური 6:1(4:0)
ირ რეიკიავიკი-ფიოლნირი 0:1(0:1)
ვიკინგური-ფრამი (გად.)

## აზერბაიჯანი

*პრემიერლიგა*

საბაჰი-გაბალა 3:0(2:0)
საბაილი-სუმგაითი 1:1(1:0)

## ჩილე

*პრიმერადივიზიონი*

კურიჩო-უაჩიპატო 4:0(1:0)

## კოლუმბია

*აპერტურა*

ჟუნიორი-აქუილასი 2:1(2:1)
ამერიკა დე კალი-სანტა ფე 2:2(0:2)

## მექსიკა

*კლაუსურა*

ლეონი-კრუს ასული 0:1(0:1)

## ავსტრალია

*A ლიგა*

ნიუკასლ ჯეტსი-მელბურნი 2:4(0:1)

## კალათბურთი

***NBA***

შარლოტი-ტორონტო 101:116
ვაშინგტონი-მაიამი 100:121
ჩიკაგო-ფინიქსი 124:127
ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი 98:110
იუტა-ნიუ იორკი 113:104

*ევროლიგა*

ფენერბაჰჩე-რეალი 66:51
ჟალგირისი-მილანო 70:74

**სატურნირო მდგომარეობა:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რეალი | 24 | 20 | 4 | 1889:1699 |
| ბარსელონა | 24 | 19 | 5 | 1929:1761 |
| მილანო | 23 | 16 | 7 | 1688:1612 |
| ზენიტი | 22 | 14 | 8 | 1625:1607 |
| ცსკა | 23 | 14 | 9 | 1854:1799 |
| ოლიმპიაკოსი | 22 | 13 | 9 | 1720:1599 |
| უნიკსი | 23 | 13 | 10 | 1736:1684 |
| ფენერბაჰჩე | 22 | 12 | 10 | 1680:1598 |
| ეფესი | 23 | 12 | 11 | 1858:1806 |
| მონაკო | 24 | 12 | 12 | 1950:1935 |
| ბაიერნი | 24 | 12 | 12 | 1775:1765 |
| მაკაბი | 22 | 10 | 12 | 1714:1711 |
| ლიონი | 24 | 9 | 15 | 1760:1913 |
| ცრ.ზვეზდა | 22 | 8 | 14 | 1573:1611 |
| ალბა | 23 | 7 | 16 | 1722:1844 |
| ბასკონია | 23 | 7 | 16 | 1656:1823 |
| პანათინაიკოსი | 22 | 5 | 17 | 1606:1765 |
| ჟალგირისი | 22 | 3 | 19 | 1528:1731 |

*ევროთასი*

ბურსასფორი-პრომიტეასი 87:76
ტრენტო-ლევალიოსი 80:86

*ჩემპიონთა ლიგა*

პრომეტეი-უნიკახა 70:69
სზომბატელი-სტრასბურგი 63:85
ტენერიფე-რიტასი 89:75
ტრევიზო-ტოფასი 51:92

## ჰოკეი

***NHL***

ოტავა-ნიუ ჯერსი 4:1
ტორონტო-კაროლინა 4:3დდ

*ოლიმპიადა ქალები*

აშშ-კანადა 2:4
იაპონია-ჩეხეთი 3:2პენ.
ფინეთი-რუს.ოლ.კომიტეტი 5:0
შვედეთი-დანია 3:1

*ჩეხეთი*

სესკ ბუდეიოვიცე 3:2
კარლოვი ვარი-ტრინეცი 3:2დ.დ.
მლადა-კლადნო 0:1დ.დ.
ოლომუსი-ლიტვინოვი 4:1

*ფინეთი*

კერპეტი-ლუკო 2:3
ტაპარა-ჟიპ 5:2
იფკ-ჰამენლინა 1:2პენ.
იუკურიტი-ილვესი 3:1
კალპა-ასატი 2:3დ.დ.
პელიკანსი-კოოკოო 1:2დ.დ.

*შვედეთი*

როგლე-ტიმრა 5:3

## წყალბურთი

*ჩემპიონთა ლიგა*

ოლიმპიაკოსი-ბრეშა 5:8
უიბუდა-დუბროვნიკი 10:15
სპანდაუ-მარსელი 7:13
ცრ.ზვეზდა-სტიაუა 10:10
პრო რეკო-ჰანოვერი 18:3

## ჩოგბურთი

***ATP-Buenos Aires (Argentina), clay***

კუევასი-კორია 1:6; 6:1; 3:6
კარბალესი-ჯარი 7:6, 6:2
მუნარი-ეტჩევერი 6:4, 6:4
ბაეზი-რუნი 7:6, 6:3
რამოსი-მონტეირო 3:6, 3:6
ტაბილო-მარტინესი 2:6, 4:6

***ATP-Dallas (USA), hard (indoor)***

ანდერსონი-ქერი 6:4; 6:4
მილმანი-ნაკაშიმა 5:7; 6:7
ფ.ლოპესი-ტომპსონი 5:7, 3:6
სანდგრენი-გირონი 4:6, 4:6
ბრადი-გოჟოვცზიკი 6:1, 6:4
კრესი-როდიონოვი 6:7, 6:4, 1:6

***ATP-Rotterdam (Netherlands), hard (indoor)***

კარაცევი-გრიკსდური 6:2, 6:7, 6:7
ხაჩანოვი-პოპირინი 6:7, 6:1, 7:6
ლააკსონენი-რუბლიოვი 4:6, 4:6
ლეჩესკა-შაპოვალოვი 6:4, 6:4
მუსეტი-მ.იმერი 6:3, 6:7, 6:3
ციციპასი-დავიდოვიჩი 7:5, 6:7, 6:4

***WTA-St. Petersburg (Russia), hard (indoor)***

ნიემეიერი-კვიტოვა 2:6, 1:6
სასნოვიჩი-ლინეტე 7:5, 4:6, 6:4
კრისტიანი-პავლიუჩენკოვა 7:6, 6:4
პეტკოვიჩი-პეტერსონი 7:6, 6:2
ოსტაპენკო-ქსი.ვანგი 6:1, 6:4
ვონდროუსოვა-ცირსტეა 5:7, 6:3, 4:6
მარტინცოვა-ზვონარევა 2:6, 6:1, 6:4
რახიმოვა-მარტიჩი 4:6, 6:2, 4:6
იუვანი-ვან უიტვანკი 4:6, 6:4, 6:3
საკარი-პოტაპოვა 6:4, 6:4
ს.ჟანგი-ბეგუ 3:6, 1:6

# შოთას ჰალი რუნის დერბისთან დამარცხდა

შოთა არველაძის დარიგებულმა „ჰალ სიტიმ“ ზედიზედ მეორე მატჩი წააგო. ინგლისის ჩემპიონშიპის 31-ე ტურში ქართველი სპეციალისტის თავკაცობით „ჰალი“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდარული ფორვარდის, უეინ რუნის გაწვრთნილ „დერბი ქაუნთის“ ესტუმრა და 1:3 დამარცხდა.

„დერბი უპირატესობას“ ფლობდა, 47-ე წუთისთვის უკვე 3:0-ს იგებდა და საბოლოოდ, დამაჯერებლად იმარჯვა. შოთას გუნდს ამ წაგების შემდეგ 30 მატჩში 32 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-19 ადგილზე იმყოფება. მომდევნო მატჩს იგი გათამაშების ლიდერ „ფულემთან“ ჩაატარებს.

შეგახსენებთ, რომ შოთა არველაძემ „ჰალის“ მესაჭის პოსტი 27 იანვარს ჩაიბარა და თავისი სადებიუტო მატჩი მოიგო. 29 იანვარს „ჰალმა“ „სუონსი“ 2:0 დაამარცხა. შემდეგ, შოთას გუნდმა შინ „პრესტონთან“ 0:1 წააგო.



## კაზემირო: მესი ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელთა სამეულშია და თუ ფეხბურთი გიყვარს, ლეოც გიყვარს

### ...მარტო მე მას ვერ შევაჩერებ, თანაგუნდელები უნდა დამეხმარნენ...

მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელმა ნახევარმცველმა კაზემირომ ლიონელ მესის შესახებ ისაუბრა, რომლის პსჟ-საც „სამეფო კლუბი“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში დაუპირისპირდება.

*— გენატრება მესი?*

— არა, ოდნავადაც არა. შეუძლებელია გენატრებოდეს მესი! მისი არყოფნა ლა ლიგაში შესამჩნევია. ის „ბარსელონასთვის“ ყველაფერი იყო. ის არის ფეხბურთელი, რომელიც ყველას უყვარს. თუ ფეხბურთი გიყვარს, მესიც გიყვარს. ის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელთა სამეულშია...

— „ბარსელონადან“ ლეოს წასვლის შემდეგ, ამ გარდამავალ პერიოდში, შეგიძლია დაინახო, რამდენად მნიშვნელოვანი იყო გუნდისთვის. ის კლუბის სიმბოლოა. ახლა, ისე მოხდა, რომ ლეო კვლავ ჩამოვა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში, მაგრამ ჩვენ მზად ვიქნებით. გუნდურად უნდა შევაჩეროთ, რადგან მარტო მე მას ვერ გავუმკლავდები. ეს შეუძლებელია. პარტნიორები უნდა დამეხმარნენ...

— პსჟ-სთან საუცხოო თამაში გველის. მსოფლიო გაირინდება მის სანახავად. ნამდვილად ასე იქნება. ყველაფერს დეტალები გადაწყვეტს.



## სტეფანო პიოლი: ზლატანი დამწყვდეული ლომია და მოედანზე მალე დაბრუნდება

„მილანის“ მთავარმა მწვრთნელმა სტეფანო პიოლიმ გუნდის ფორვარდებზე, ზლატან იბრაჰიმოვიჩსა და ოლივიე ჟირუზე ისაუბრა.

ზლატანი აქილევსის მყესის




ტრავმისგან აღდგენას განაგრძობს.

— ზლატანი დამწყვდეული ლომია. იგი დარწმუნებულია, რომ მოედანზე მალე დაბრუნდება და ძალიან სურს დაეხმაროს პარტნიორებს. იტალიის თასზე „ლაციოსთან“ ვერ ითამაშებს, შემდეგ კი, ვნახოთ, რა იქნება...

— ოლივიე მოედანზე აჩვენებს, რა შეუძლია და აკეთებს იმას, რასაც მისგან ვითხოვთ. ის საუცხოო ფეხბურთელი და ადამიანია. ძლიერი მოთამაშეა, რომელიც გუნდს ძალიან ეხმარება, — აღნიშნა პიოლიმ.

## ჩელსი მაუნტს გაუმჯობესებულ კონტრაქტს შესთავაზებს

ლონდონის „ჩელსის“ გუნდის შემტევ მეისონ მაუნტთან მოქმედი კონტრაქტის გაგრძელება სურს.

უახლოეს ხანში ლონდონელები ფეხბურთელის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს დაიწყებენ. მაუნტს მიმდინარე შეთანხმება 2024 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. „ჩელსი“ მზადაა, მას გრძელვადიანი კონტრაქტი შესთავაზოს და ხელფასი გაუზარდოს.

მაუნტი „ჩელსის“ მთავარ გუნდში 2019 წლიდან თამაშობს. მიმდინარე სეზონში ფეხბურთელმა პრემიერლიგაში ჩატარებულ 21 მატჩში 7 გოლი გაიტანა და 6 საგოლე პასი შეასრულა.



## ფერდინანდმა გაიხსენა, როგორ სთხოვდა რონალდუ მსოფლიო-2006-ზე კონფლიქტის შემდეგ რუნისთან შერიგებას

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა მცველმა რიო ფერდინანდმა გაიხსენა, როგორ სთხოვდა კრიშტიანო რონალდუ 2006 წელს უეინ რუნისთან შერიგებას.

ფეხბურთელებს შორის კონფლიქტი მსოფლიოს ჩემპიონატზე პორტუგალიასა და ინგლისს შორის მატჩის (0:0, 3:1პენ.) დროს მოხდა. რუნი მოედნიდან მეორე ტაიმში გააძევეს იმის გამო, რომ რიკარდუ კარვალიუს ფეხი დააბიჯა. რონალდუ მსაჯს მივარდა და ინგლისელთა ფორვარდისთვის წითელი ბარათის ჩვენებას სთხოვდა. ის და რუნი მაშინ „მანჩესტერში“ ერთად თამაშობდნენ. თანაკლუბელის ასეთი საქციელით აღშფოთებულმა უეინმა პორტუგალიელს ხელი ჰკრა.

— თამაშის შემდეგ, რუნი გასახდელში გაცოფებული იყო. როდესაც ავტობუსისკენ მივდიოდით, კრიშტიანომ შემაჩერა და მითხრა: „რი, შეგიძლია დაუძახო უეინს, მასთან საუბარი მსურს და მინდა ვუთხრა, რომ არაფერი დამიგეგმავს. ჩემ საქციელში მტრული და ბოროტი განზრახვა არ ყოფილა. ერთ გუნდში ვთამაშობთ და ასე არასდროს მოვიქცეოდი. ის ჩემი მეგობარია“...

— მეც მივედი რუნისთან და ვუთხარი, რომ რონალდუს მასთან საუბარი სურდა. უეინი ავტობუსიდან ჩამოვიყვანე და რონალდუს შევახვედრე. ამის შემდეგ, მე არაფერი მითქვამს. არ ვიცი, მე დავასრულე ეს ისტორია, თუ ისინი თავად შერიგდნენ, მაგრამ ნამდვილად მე შევახვედრე, — ამბობს ფერდინანდი.



## ბათუმის დინამომ განელი მცველი დაიმატა

„ბათუმის დინამოში“ 28 წლის განელი მცველი აბრაჰამ ფრიმპონგი ითამაშებს. მასთან კონტრაქტის გაფორმების შესახებ კლუბის „ფეისბუქის“ გვერდი იუწყება. ფეხბურთელი გუნდს თურქულ შეკრებაზე შეუერთდება.

ფრიმპონგი ბოლოს საუდის არაბეთის „ალაინში“ თამაშობდა. აფრიკელს სხვადასხვა დროს „ვი-



ჩენცაში“, „ვოივოდინაში“, „ცრვენა ზვეზდაში“, „ნაპრედაკსა“ და „ფერენცვაროშში“ უთამაშია. ამ უკანასკნელის რიგებში ფრიმპონგმა ჩემპიონთა ლიგაზე 10 და ევროპის ლიგაზე 2 შეხვედრა ჩაატარა.

## ბარსას გენერალური დირექტორი პოსტს ტოვებს

„ბარსელონას“ გენერალური დირექტორი ფერან რევერტერი თანამდებობას საკუთარი სურვილით ტოვებს. ამის შესახებ კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება.

რევერტერი „ბარსას“ ოჯახური გარემოებების მიზეზით ემშვიდობება. იგი საკუთარი მოვალეობის შესრულებას იქამდე გააგრძელებს, სანამ კლუბი ახალ გენერალურ დირექტორს არ დანიშნავს.

„ბარსელონა“ მადლობას უხდის რევერტერს გაწეული სამუშაოსთვის. სპეციალისტი ამ პოსტზე 2021 წლის ივლისიდან მუშაობდა.

# რუბინის სპორტული დირექტორი: ხვიჩას ფასი არ შეცვლილა – ჩვენ 20 მილიონ ევროს ვითხოვთ

## ...კვარაცხელიაზე ოფიციალური წინადადებით ჩვენთვის არავის მოუმართავს...



ყაზანის „რუბინის“ სპორტულმა დირექტორმა ოლეგ იაროვინსკიმ გუნდის ნახევარმცველ ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, ქართველ ფეხბურთელთან დაკავშირებით კლუბს ოფიციალური წინადადება საერთოდ არ მიუღია.

– ვინ ინტერესდებოდა გასულ ზაფხულს ხვიჩათი? ერთი გერმანული ტოპ-კლუბი და 2 ინგლისური ტოპი. რომელიმე მათგანი ჩვენთან კვარაცხელიას თაობაზე საბოლოო წინადადებით რომ მოსულიყო, 100%-ით გავყიდიდით, მაგრამ არ მოვიდნენ. ხვიჩა დიდი, სუპერნიჭიერი ფეხბურთელია, რომელიც აუცილებლად გადავა ევროპულ ტოპ-კლუბში. უბრალოდ, ევროპული ტოპ-კლუბისთვის რუსეთის პრემიერლიგაში ქართველის ყიდვა - სერიოზული ნაბიჯია, რომლის გადადგმა უნდა გარისკოს...

– ასეთ ტრანსფერზე საუბრისას მოთმინება და დრო საჭირო. სამწუხაროდ, ჩვენ არავის გაგვაჩნია მოთმინება და ხვიჩას გაყიდვა ყველამ ჯერ კიდევ გასული წლის მაისში დაიწყო, როდესაც კონკრეტიკასთან ახლოსაც კი არ ვიყავით. მისი პრობლემა პრესას უკავშირდება. მედიაში მუდმივად ბერავდნენ რეალურ სურათს. აბსოლუტურად უსაფუძვლო ჭორებმა კარგი არაფერი მოიტანა. ზაფხულში „რუბინს“ ნამდვილი ოფიციალური წინადადება მხოლოდ 2 ფეხბურთელზე ჰქონდა - კარლ სტარფელტსა და დენის მაკაროვზე. ერთი ახლა „სელტიკშია“, მეორე - „დინამოში“. ხვიჩასთან მიმართებაში ასეთი რამ არ ყოფილა. ერთადერთხელ მოვიდა ზაფხულის ბოლოს რაღაც ოფიციალური ფურცელი ინტერესზე, მაგრამ ფინალურ წინადადებამდე საქმე არ მისულა...

– მე ვუთხარი ხვიჩას: „თუ იქნება წინადადება, გაგიშვებთ“. ცხადია, თუ ჭორები ყოველდღიურად გაჩნდება, საუბრით საქმეს ვერ უშველი. ხვიჩა ანერვიულდა და მხოლოდ სატრანსფერო ფანჯრის დახურვის შემდეგ დამშვიდდა...

– რამდენს ვითხოვთ მის სანაცვლოდ? ფასი არ შეცვლილა - 20 მილიონი ევრო, მაგრამ საუბარს წინ არაფერი უდგას, – ამბობს იაროვინსკი.

# სადიო მანე: სალაჰს ვუთხარი, რომ საუცხოო ფეხბურთელად რჩება და ჩემთვის კლუბში მის გვერდით თამაში სასიამოვნოა

## ეგვიპტელი ლივერპულს დაუბრუნდა და ლესტერთან მატჩისთვის ემზადება

მერსისაიდული „ლივერპულისა“ და სენეგალის ნაკრების ფორვარდმა სადიო მანემ ჟურნალისტებს გაუმხილა, როგორ გაამხნევა თავისი თანაკლუბელი და ეგვიპტის ნაკრების ლიდერი მოჰამედ სალაჰი აფრიკის ერთა თასის ფინალის შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ 6 თებერვალს სენეგალმა ეგვიპტე პენალტების სერიაში 4:2 დაამარცხა. სალაჰმა სრულად ითამაშა, მე-5



პენალტი მას უნდა დაერტყა, მაგრამ აღარ დასცალდა, რამდენადაც მანეს თერთმეტმეტრიანმა სენეგალს თასი მოუტანა.

– მე მას ვუთხარი, რომ საუცხოო ფეხბურთელად რჩება და ჩემთვის სასიამოვნოა კლუბში მასთან ერთად თამაში. მას ძალზე დიდ პატივს ვცემ და მან თავისი ქვეყნისთვის ყველაფერი გააკეთა...

– სალაჰმა ვერ მოიგო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისთვის ყველაფერი დასრულებულია. ვუთხარი, რომ კიდევ ბევრი ტიტულის მოგება შეუძლია, 2023 წლის აფრიკის თასის ჩათვლით. მათ ახალგაზრდა გუნდი ჰყავთ. ასე რომ, შეიძლება, ერთხელ მოიგონ, – განაცხადა მანემ.

„ლივერპულის“ ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, სალაჰი უკვე დაბრუნდა კლუბის განკარგულებაში და გუშინ ივარჯიშა კიდეც. ხვალ, „ლივერპული“ ინგლისის პრემიერლიგაში „ლესტერს“ მასპინძლობს და ეგიპტელი სავარაუდოდ მოედანზე იქნება.

# მანჩესტერმა ბოლო 10 წელიწადში ტრანსფერებზე ყველაზე მეტი დახარჯა

სპორტულ გამოკვლევათა საერთაშორისო ცენტრმა (CIES) ევროპის ტოპ-5 ლიგაში კლუბების მიერ სატრანსფერო დანახარჯებზე ახალი გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა.

რეიტინგში პირველი ადგილი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაიკავა, რომელსაც უარყოფითი ბალანსი მილიარდ ევროზე მეტი აქვს. პირველ სამეულში „მანჩესტერ სიტი“ (984 მილიონი ევრო) და პსჟ (941 მლნ.) შევიდნენ. „ბარსელონა“ მეოთხე ადგილზე იმყოფება (650 მლნ.).

მთლიანობაში, ტოპ-ოცეულში ინგლისის 14 წარმომადგენელი მოხვდა. ყველაზე მაღალი დადებითი ბალანსი, პლუს 349 მილიონი ევრო ფრანგულ „ლილს“ უფიქსირდება.

გამოკვლევაში მითითებულ დროის მონაკვეთში რეიტინგის ლიდერმა „მანჩესტერმა“ მხოლოდ 4 ტიტული მოიგო, 2017 წლის შემდეგ კი, არაფერი მოუგია.

# კორეულმა ჯეონამმა ნიკა კაჭარავა წარადგინა

სამხრეთკორეულმა „ჯეონამ დრაგონსმა“ ქართველი ფორვარდი ნიკა კაჭარავა ოფიციალურად წარადგინა.

კლუბის პრეს-სამსახური წერს, რომ 198 სმ სიმაღლის ფეხ-




ბურთელი დაიმატა, რომელიც სიმაღლის მიხედავად, ძალზე ტექნიკური და სწრაფია. კაჭარავა შეტევაში ბრაზილიელ ფორვარდ ჯონათან ბალოტელისა და კოსოვოელ ლეონარდ პლანას შეწყვილდება, რომელიც გუნდში ასევე ახალწვეულია.

– ბედნიერი ვარ აქ ყოფნით. კორეის ჩემპიონატის შესახებ „ულსანში“ მოთამაშე ვაკო ყაზაიშვილმა ბევრი რამ მიამბო. ვეცდები, გუნდს მიზნების მიღწევაში დავეხმარო და ბევრი გოლი გავიტანო, – აღნიშნა კაჭარავამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლებრონ ჯეიმსი ვესტბრუკის ჩაგდებულ სეზონზე: გუნდის ყველა პრობლემა ერთი კაცის ბრალი ვერ იქნება

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერმა ლებრონ ჯეიმსმა გუნდის გამთამაშებელ რასელ ვესტბრუკთან დაკავშირებულ შეკითხვას უპასუხა, რომელიც სუსტ სეზონს ატარებს:

— ჩვენ ერთი გუნდი ვართ. ერთი ადამიანი ვერ იქნება დამნაშავე გუნდის ყველა პრობლემაში. არ არსებობს ვინმე, რომლის სხვაზე მეტად დადანაშაულება შეიძლება. არ არსებობს ვინმე, რომელიც სხვებზე მეტად შეიძლება შევაქოთ. როდესაც ვმარცხდებით, ყველა ერთად ვაგებთ, ხოლო როცა ვიმარჯვებთ, ამასაც ერთად ვახერხებთ. ყველაფერი ძალზე მარტივია...

— ეს პირველი სეზონია, რომელშიც ტრავმები ასეთ არსებით როლს თამაშობს. ამას ემატება პროტოკოლი, დადებითი ტესტები, ცრუ ტესტები. მთავარი მწვრთნელი



გუნდს რამდენიმე მატჩით აკლდება. ასე რომ, უბრალოდ, ეს რთული, უცნაური და რაღაც განსხვავებული სეზონია ყველა ჩვენგანისთვის. მხოლოდ „ლეიკერსისთვის“ კი არა, NBA-ს ბევრი გუნდისთვისაც,— განაცხადა ლებრონმა.

## NBA-ში კვირის საუკეთესოებად ინგრემი და სიაკამი დაასახელეს

„ნიუ ორლეან პელიკანსის“ ფორვარდი ბრენდონ ინგრემი და „ტორონტო რეპტორსის“ ფორვარდი პასკალ სიაკამი NBA-ში კვირის საუკეთესო კალათბურთელებად დაასახელეს.

გასულ კვირაში ინგრემმა „ნიუ ორლეან-




თან“ ერთად 4-დან 3 მატჩი მოიგო. მისი საშუალო მაჩვენებლები 27,3 ქულა, 1,5 ჩაჭრა და 9,3 პასი იყო.

პასკალ სიაკამი გასულ კვირაში „ტორონტოს“ ოთხივე შეხვედრის მოგებაში დაეხმარა. ფორვარდი საშუალოდ მატჩში 24,8 ქულას, 10,5 მოხსნასა და 4,8 პასს აგროვებდა.

„ნიუ ორლეან პელიკანსი“ 21 მოგებით და 32 მარცხით დასავლეთ კონფერენციის ცხრილში მე-10 ადგილზეა. „ტორონტო რეპტორსი“ 28 გამარჯვებით და 23 მარცხით აღმოსავლეთში მე-6 საფეხურზე იმყოფება.

## NBA-ს ოლ-სტარში დიურანტს და გრინს ბოლი და მიურეი შეცვლიან

NBA-ს გადაწყვეტილებით, გამთამაშებლები: ლამელო ბოლი („შარლოტ ჰორნეტსი“) და დეჯონტე მიურეი („სან ანტონიო სპურსი“) 2022 წლის „ყველა ვარსკვლავის მატჩში“ ითამაშებენ. ამის შესახებ ლიგის ოფიციალური ვებ-გვერდი წერს.

ბოლი და მიურეი კევინ დიურანტს („ბრუკლინ ნეტსი“) და დრეიმონდ გრინს („გოლდენ სტეიტ უორიორზი“) ჩაანაცვლებენ, რომლებსაც ტრავმები აქვთ. NBA-ს 71-ე „ოლ სტარი“ კლივლენდში 20 თებერვალს გაიმართება.

ბოლი და მიურეი სათადარიგოებად შეარჩიეს. „ბოსტონ სელტიქსის“ ფორვარდი ჯეისონ ტეიტუმი დიურანტს სასტარტო შემადგენლობაში შეცვლის. ამასთან, დიურანტი ერთ-ერთი გუნდის კაპიტნად დარჩება და „ოლ სტარისთვის“ შემადგენლობას შეარჩევს.

მიმდინარე სეზონში ბოლი საშუალოდ მატჩში 19,6 ქულას, 7,5 პასს და 7,1 მოხსნას აგროვებს. მიურეის საშუალო მაჩვენებლები 19,6 ქულა, 9,2 პასი და 8,4 მოხსნაა.




## 19-წლამდელები ისრაელთან 2 მატჩს გამართავენ

საქართველოს 19-წლამდე ვაჟთა ნაკრებმა ისრაელთან მატჩებისთვის მზადება დაიწყო. ვასილ მაისურაძის გუნდი, 11 და 13 თებერვალს ისრაელთან გასვლაზე ამხანაგურ შეხვედრებს გამართავს.

შეხვედრებისთვის, მთავარმა მწვრთნელმა 24 ფეხბურთელი გამოიძახა. აღნიშნული მატჩები, FIFA-ს წესდებით გათვალისწინებული კალენდარული სანაკრებო პაუზების ნაწილი არ გახლავთ და სწორედ ამიტომ, მოახლოებული შეხვედრები გუნდის რამდენიმე საკვანძო მოთამაშის გარეშე ჩაივლის.

19-წლამდელების შემადგენლობა:

***მეკარეები:*** ლუკა ხარატიშვილი (შუქურა ქობულეთი), ლევან



თანდილაშვილი (თელავი), შაკო ვიბლიანი (ლოკომოტივი თბილისი).

***მცველები:*** დავით გოგოტიშვილი, მუხრან ბაგრატიონი, თორნიკე დუნდუა, ნიკოლოზ უგრეხელიძე, არჩილ დათუაშვილი (ყველა დინამო თბილისი), გიორგი პირტახია, ზურაბ ზოსიაშვილი (ორივე ლოკომოტივი თბილისი), საბა გოგლიჩიძე (ტორპედო ქუთაისი), ზურაბ რუხაძე (საბურთალო)

***ნახევარმცველები:*** ოთარ მამაგეიშვილი, გიზო მამაგეიშვილი, გეგი გეგუჩაძე, ლუკა წულუკიძე (ყველა საბურთალო), ნიკოლოზ ცხოვრებაშვილი (დინამო თბილისი), მიხეილ ავალიანი (შუქურა ქობულეთი), ლუკა ჩაგანავა (ბოლნისი სიონი)

***თავდამსხმელები:*** გიორგი გვიშიანი, ჯადული იობაშვილი, დავით გოცირიძე (ყველა დინამო თბილისი), გიორგი კვერნაძე (თელავი), გიორგი ხაბულიანი (ადანა დემისფორი, თურქეთი).

*www.nakrebi.ge*-ს მიხედვით.

## ზუმამ ბოდიში მოიხადა სკანდალური ვიდეოსთვის, რომელშიც თავის კატას სასტიკად ეპყრობა

„ვესტ ჰემ იუნაიტედის“ მცველმა კურტ ზუმამ ბოდიში მოიხადა გავრცელებული სკანდალური ვიდეოჩანაწერისთვის, სადაც ჩანს, როგორ სცემს თავის კატას.

— ბოდიშს ვიხდი ჩემი საქციელისთვის, რომელსაც გამართლება არ აქვს და გულწრფელად ვწუხვარ. ძალიან განვიცდი იმის გამო, რომ ამ ვიდეომ




ბევრი გაანაწყენა. მსურს ყველა დავარწმუნო, რომ ჩვენი ორი კატა ჯანმრთელადაა და თავს კარგად გრძნობს. ისინი მთელ ჩვენ ოჯახს უყვარს და თავს ევლება. ჩემი საქციელი კი, გამონაკლისი შემთხვევა იყო, რომელიც აღარ განმეორდება,— განაცხადა ზუმამ.

მიმდინარე სეზონში, ფრანგმა მცველმა ინგლისის პრემიერლიგაში ჩატარებულ 12 მატჩში 1 გოლი გაიტანა. „ჩაქუჩებში“ იგი 2021 წლის აგვისტოში ლონდონის „ჩელსიდან“ 35 მილიონ ევროდ გადავიდა და კლუბთან მოქმედი კონტრაქტი 2025 წლამდე აკავშირებს.

ინგლისის ცხოველთა დაცვის ასოციაციამ კი, ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობისთვის ზუმას გასამართლება და საფრანგეთის ნაკრებიდან მოკვეთა მოითხოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიდერლანდებთან მატჩისთვის ბორჯღალოსნებს 5 მორაგბე დაუბრუნდა




ბორჯღალოსნების გაფართოებულ შემადგენლობას, ნიდერლანდებთან მატჩის წინ რამდენიმე მოთამაშე დაუბრუნდა, რომლებიც გუნდს გასულ კვირაში კოვიდ-ინფექციის გამო დააკლდნენ.

დაბრუნებულთა შორისაა სამივე კვაჭი - შალვა მამუკაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე და გიორგი ჭყოიძე, ასევე მესამეხაზელები - გიორგი ცუცქირიძე და ლუკა ივანიშვილი.

პორტუგალიასთან დაშავდა და მომავალ შეხვედრას გამოტოვებს ბურჯი ბექა გიგაშვილი. მის ნაცვლად სამწვრთნელო შტაბმა ნიკოლოზ ხატიაშვილს უხმო, რომელსაც ბორჯღალოსნების კვარტით აქამდე 6-ჯერ უთამაშია, ბოლოს 2021 წლის ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთ აფრიკასთან.

ჩვენი გუნდი 12 თებერვალს, საქართველოს დროით 16:15 საათზე ნიდერლანდებს ამსტერდამში ეთამაშება. აქამდე ამ გუნდებს შორის ხუთი შეხვედრა გაიმართა პირველი, შორეულ 1995 წელს მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა - 55:3. მას შემდეგ ნიდერლანდებს ოთხივეჯერ ვაჯობეთ - 2000-2002 წლებში 41:6, 32:3 და 88:0, ხოლო შარშან ზაფხულში, თელავში 48:15.

გაფართოებული შემადგენლობა ნიდერლანდებთან

***შერკინება:*** გურამ გოგიჩაშვილი (რასინგ 92, 26 კეპი, 10 ქულა), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე, 68 კეპი, 10 ქულა), ნიკა აბულაძე (შავი ლომი, უკეპო), ლუკა ჯაფარიძე (ბრივი, 4 კეპი), ნიკოლოზ ხატიაშვილი (შავი ლომი, 6 კეპი), გურამ პაპიძე (ლა როშელი, უკეპო), შალვა მამუკაშვილი (შავი ლომი, 85 კეპი, 55 ქულა), ჯაბა ბრეგვაძე (აჟენი, 67 კეპი, 25 ქულა), გიორგი ჭყოიძე (ლოკომოტივ-პენზა, 19 კეპი, 5 ქულა), ლაშა ჯაიანი (შავი ლომი, 13 კეპი), ნოდარ ჭეიშვილი (შავი ლომი, 34 კეპი), გრიგორ ქერდიყოშვილი (აჟენი, 8 კეპი, 10 ქულა), გიორგი ჯავახია (ორიაკი, 7 კეპი, 5 ქულა), გიორგი ცუცქირიძე (ორიაკი, 23 კეპი, 15 ქულა), თორნიკე ჯალაღონია (ბიარიცი, 13 კეპი, 15 ქულა), ოთარ გიორგაძე (ბრივი, 30 კეპი, 25 ქულა), ლუკა ივანიშვილი (შავი ლომი, უკეპო), სანდრო მამამთავრიშვილი (შავი ლომი, 1 კეპი);

***ხაზი:*** ვასილ ლობჟანიძე (ბრივი, 61 კეპი, 55 ქულა), გელა აფრასიძე (მონპელიე, 36 კეპი, 24 ქულა), მიხეილ ალანია (ორიაკი, 6 კეპი), თედო აბჟანდაძე (ბრივი, 29 კეპი, 198 ქულა), გიორგი ბაბუნაშვილი (შავი ლომი, 4 კეპი, 9 ქულა), ლუკა მატკავა (უკეპო), მერაბ შარიქაძე (შავი ლომი, 81 კეპი, 60 ქულა), აკა ტაბუცაძე (შავი ლომი, 16 კეპი, 65 ქულა), დემე თაფლაძე (შავი ლომი, 13 კეპი, 5 ქულა), ლაშა ლომიძე (შავი ლომი, 2 კეპი), მირიან მოდებაძე (შავი ლომი, 17 კეპი, 35 ქულა), თორნიკე კახოიძე (ლელო, უკეპო), დავით მესხი (ენისეი, 1 კეპი), ლაშა ხმალაძე (შავი ლომი, 89 კეპი, 53 ქულა).

*www.rugby.ge-ს მიხედვით.*

# ატალანტამ გუნდის საუკეთესო ბომბარდირი საპატა შეიძლება 3-4 თვით დაკარგოს

ბერგამოს „ატალანტას" ფორვარდმა დუვან საპატამ სერია ა-ს 24-ე ტურში „კალიარისთან" მატჩში (1:2) ტრავმა მიიღო.

კოლუმბიელი მოედანზე 21 დეკემბრის შემდეგ პირველად გავიდა. იგი 58-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა, მაგრამ 15 წუთში გაიყვანეს.

ტრავმა მოსალოდნელზე სერიოზული აღმოჩნდა და საპატამ შესაძლოა, 3-4 თვე ვერ ითამაშოს.

კოლუმბიელი სერია ა-ს მიმდინარე სეზონში „ატალანტას" საუკეთესო ბომბარდირია. მან 9 გოლი გაიტანა და 4 საგოლე პასი შეასრულა.



# ხრისტო სტოიჩკოვი: დემბელემ შეცდომა დაუშვა და არ უნდა აპატიონ

კატალონიური „ბარსელონას" ყოფილმა ფორვარდმა ხრისტო სტოიჩკოვმა გუნდის შემტევ უსმან დემბელესთან დაკავშირებით შექმნილ სიტუაციაზე კომენტარი გააკეთა:

— მისი პრობლემა - მისი გარემოცვაა. ვფიქრობ, მან შეცდომა დაუშვა და არ უნდა აპატიონ. მან იცის, რომ გულშემატკივრები მხარს არ დაუჭერენ. დემბელეს საკუთარი მენტალობა აქვს შესაცვლელი. მისი პრობლემა ისაა, რომ კლუბის ისტორიას არ იცნობს...

— მან უნდა იცოდეს, რომ ფეხბურთი მხოლოდ სირბილი არ არის. მოსმენა უნდა ისწავლოს. მე იოჰან კრუიფთან ვსწავლობდი და ისეთ ფეხბურთელებს ვაკვირდებოდი, როგორებიც იყვნენ პაპენი, ლინეკერი, გერდ მიულერი და ვან ბასტენი. ამ ადამიანების გვერდით ვიზრდებოდი და საკუთარ თამაშში რაღაცის შეცვლა მსურდა...



— დემბელეს უნარებში ეჭვი არასდროს შემპარვია, მაგრამ ამ სიტუაციიდან გამოსავალს უნდა მიაგნოს. მას 114 მატჩში არ უთამაშია და სრულად მხოლოდ 20 შეხვედრა ჩაატარა, — ამბობს სტოიჩკოვი.

შეგახსენებთ, რომ დემბელეს „ბარსასთან" მოქმედი კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება. კლუბს ფრანგის გაყიდვა იანვრის სატრანსფერო ფანჯარაში სურდა, მაგრამ ვარიანტებს ვერ მიაგნო. ფეხბურთელმა „ბარსას" კონტრაქტის გაგრძელების შესახებ რამდენიმე წინადადებაზე უარი უთხრა.

# ბარსელონა Spotify-სგან 3 წელიწადში 280 მილიონ ევროს მიიღებს

„დიარიო სპორტის" ინფორმაციით, Spotify „ბარსელონას" სპონსორი გახდება. მხარეები უახლოეს საათებში გააფორმებენ კონტრაქტს, რომელიც ძალაში მომდევნო სეზონიდან შევა.

„ბარსა" ამ გარიგების შედეგად, 3 წლის განმავლობაში 280 მილიონ ევროს მიიღებს.

მუსიკალური სტრიმინგ სერვისის ლოგოტიპი გუნდის ფეხბურთელების მაისურებზე განთავსდება. ასევე, Spotify „კამ ნოუს" არენის სახელწოდებაზე უფლებას მიიღებს.

# მუსა დემბელემ კარიერა დაასრულა



ლონდონის „ტოტენჰემისა" და ბელგიის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა მუსა დემბელემ კარიერა დაასრულა.

ბოლოს, მუსა დემბელე ჩინურ „გუანჩჟოუ სიტიში" თამაშობდა, სადაც 2019 წლის იანვარში „ტოტენჰემიდან" 5,35 მილიონ ფუნტად გადავიდა. მთლიანობაში კარიერაში მან 578 მატჩი ჩაატარა, 62 გოლი გაიტანა და 49 შედეგიანი პასი შეასრულა.

2019 წელს მუსა დემბელე ბელგიის ნაკრებს დაემშვიდობა, სადაც 2006 წლიდან თამაშობდა. სანაკრებო 82 შეხვედრაში ნახევარმცველმა 5 გოლი გაიტანა.

## მორის ყვითელაშვილმა პეკინის ოლიმპიადაზე თავისი საუკეთესო შედეგი აჩვენა და ლიდერთა შორის დაწინაურდა



ფიგურულ ციგურაობაში პეკინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გუნდური ასპარეზობის შემდეგ, ერთეულებში კაცთა შეჯიბრების და მოკლე პროგრამის დროც დადგა. საქართველოს ნაკრები აქ ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი, მორის ყვითელაშვილით არის წარმოდგენილი.

ჩვენი გუნდის ლიდერმა მოკლე პროგრამა შესანიშნავად შეასრულა, მსაჯებისგან მისთვის საუკეთესო შეფასება - 97.98 ქულა დაიმსახურა და 30 მონაწილეს შორის მეხუთე ადგილი დაიკავა.

მორისმა უკან ჩამოიტოვა არაერთი ფავორიტი და ერთ-ერთ ფავორიტად თავად მოგვევლინა. აქამდე ყვითელაშვილის საუკეთესო მაჩვენებელი 95.37 ქულა იყო, რომელიც შარშან როსტელეკომის თასზე დაიმსახურა და ამ ტურნირის გამარჯვებულიც გახდა. ამასთან, ყვითელაშვილი პირველი ქართველი მოციგურავეა, რომელმაც გრან-პრი მოიგო.

ამჯერად, მორისს რეალური შანსი აქვს უკვე ოლიმპიურ თამაშებზე საბოლოო ისტორიული შედეგი აჩვენოს. მას მორიგი გამოცდის ჩაბარება ხვალ მოუწევს, როცა თავისუფალი პროგრამით გამოვა და მაქსიმალური შეფასების მიღებას შეეცდება.

ოლიმპიური მედლებისთვის ბრძოლას 24 საუკეთესო მოციგურავე აგრძელებს.

დღეს, პეკინის ზამთრის ოლიმპიადაზე ქართული დელეგაციის წარმომადგენელი სამთო მოთხილამურე ნინო წიკლაური გამოვა. იგი ოლიმპიადას სლალომით დაასრულებს. წიკლაურმა უკვე იასპარეზა პეკინში გიგანტურ სლალომში, ორივე დაშვება წარმატებით შეასრულა და 34-ე ადგილი დაიკავა, რაც ოლიმპიადებზე მისი საუკეთესო შედეგია. *www.geonoc.org.ge-ს მიხედვით.*

## პეპ გვარდიოლა: გრილიში, უოკერი და მაჰრეზი ბარში ერთობოდნენ? დავაჯარიმებთ, რადგან არ მიმიწვიეს

„მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა პეპ გვარდიოლამ თავისი შეგირდების: ჯეკ გრილიშის, კაილ უოკერისა და რიად მაჰრეზის შესახებ შეკითხვას ხუმრობით უპასუხა.

სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, სადაც ჩანს, რომ ფეხბურთელებმა გასულ უქმეებზე მანჩესტერში მდებარე კოქტეილ-ბარ Alberts Schloss-ში მოილხინეს.

– ძალზე განაწყენებული ვარ, რადგან მათ არ მიმიწვიეს და ეს არ მომწონს. შემდეგ ჯერზე, იმედი მაქვს, დამიძახებენ...

– ვიდეოში არ ჩანს, რა ხდებოდა იქ. არ ვიცი, ისინი ერთად ვახშმობენ, ფხიზლები არიან, არ არიან, დროს ატარებენ კლუბის თანამშრომლებთან ერთად თუ რა ხდება. თუმცა, ჯარიმას ვერ გადაურჩებიან, რადგან არ დამპატიჟეს, – განაცხადა გვარდიოლამ.



## ბექა მიქელთაძემ ავსტრალიის ჩემპიონატში მე-6 გოლი გაიტანა

### ბათუმის დინამო თურქულ შეკრებაზე ხვიჩა კვარაცხელიას რუბინს დაუზავდა

**რუბინი 2:2 დინამო ბთ.**—ბათუმის „დინამო" თურქულ შეკრებაზე ხვიჩა კვარაცხელიას გუნდს დაუპირისპირდა. ხვიჩამ გასული წლის ბოლოს მიღებული ტრავმის შემდეგ, მატჩში პირველად ითამაშა. იგი სასტარტოში გავიდა მოედანზე და 2 საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. ლეონიდ სლუცკიმ ხვიჩა შესვენების შემდეგ შეცვალა. „დინამოს" შემადგენლობაში პირველად ითამაშა ჯანო ანანიძემ. იგი მოედანზე შეცვლაზე შევიდა. ბათუმელთაგან ჯაბა ჯიღაურმა დუბლი შეასრულა (60წთ. პენ. და 89წთ).

„დინამო ბათუმი" თურქული შეკრების მეორე ეტაპზე კიდევ 2 ამხანაგურ მატჩს გამართავს. 11-ში გია გეგუჩაძის შეგირდები „ლვოვს" შეხვდებიან, 14-ში კი, ტალინის „ლევადიას". რაც შეეხება ხვიჩას „რუბინს", ყაზანელებმა მეორე შეკრება დაასრულეს.

**დინამო თბ. 0:1 დინამო კ.**—თურქულ შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ" საკონტროლო მატჩი კიევის „დინამოსთან" გამართა და მარცხი განიცადა. უკრაინელებმა გოლი 21-ე წუთზე გაიტანეს. კახა ცხადაძის გუნდმა თურქეთში მე-4 შეხვედრა ჩაატარა. მანამდე, „დინამომ" უკრაინულ „ლვოვთან" 0:0, სერბულ „ნაპრედაკთან" 1:1 ითამაშა და ბულგარულ „ლუდოგორეცთან" 0:1 წააგო. მომდევნო შეხვედრას თბილისელები ხვალ, მოსკოვის „დინამოსთან" გამართავენ.

**უიპეშტი 2:1 კისვარდა**—გიორგი ბერიძე მასპინძელთა შემადგენლობაში მოედანზე 59-ე წუთზე შევიდა.

**სზეგედი 0:3 მოლ ფეერვარი**—ბუდუ ზივზივაძე სტუმართა თადარიგში დარჩა.

**ნიუკასლ ჯეტსი 2:4 მელბურნი**—ბექა მიქელთაძემ მასპინძელთა სასტარტოში ითამაშა და 59-ე წუთზე გატანილი პენალტით ანგარიში 1:3 გახადა. მან სრულად ითამაშა. ბექას აქტივში 7 მატჩში 6 გოლი და 1 საგოლე პასია.

**საბაჰი 3:0 გაბალა**—მიხეილ ერგემლიძე „საბაჰის" თადარიგში იყო და მოედანზე არ გასულა.



## ნიკა მალი დინამოელია

„დინამო თბილისმა" საფეხბურთო კლუბ „საბურთალოსთან" ნიკა მალის გამოსყიდვის თაობაზე შეთანხმებას მიაღწია. მარჯვენა მცველი „დინამოს" თურქულ შეკრებაზე შეუერთდა და კლუბთან კონტრაქტი 2024 წლის ბოლომდე გააფორმა.

ნიკა მალი „საბურთალოს" საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია და პროფესიული საფეხბურთო კარიერაც აღნიშნულ კლუბში დაიწყო. მალიმ თბილისურ კლუბთან ერთად სამივე შიდა ტურნირი - ეროვნული ლიგა (2018), საქართველოს თასი (2019, 2021) და საქართველოს სუპერთასი (2020) მოიგო. ამასთან ერთად მან გუნდთან ერთად ევრო ტურნირებზეც იასპარეზა.

რაც შეეხება ნიკა მალის სანაკრებო კარიერას, მარჯვენა მცველს საქართველოს 19-წლამდე და 21-წლამდე ნაკრებებში 10-10 მატჩი აქვს გამართული. 2020 წელს კი, მან ერთი შეხვედრა ეროვნული გუნდის შემადგენლობაშიც ჩაატარა.

*www.fcdinamo.ge-ს მიხედვით.*




ISSN 2720-8079
9 772720 807009
გაზეთი რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ №5988
მის: ჩუბინაშვილის ქ. №50.
ელ. ფოსტა sport_info@mail.ru